ჩინეთის ერთი ბავშვის პოლიტიკა

ჩინეთში ერთბავშვიანი პოლიტიკა დაიწყო 1979 წელს. მისი მიზანი იყო მოსახლეობის ზრდის შეჩერება, რადგან იმ დროს ჩინეთში ძალიან სწრაფად მატულობდა მოსახლეობა და ქვეყანას უჭირდა ყველასთვის საკვების, საცხოვრებლისა და სამსახურის უზრუნველყოფა.

მთავრობამ გადაწყვიტა, რომ თითო ოჯახს მხოლოდ ერთი შვილი უნდა ჰყოლოდა. ვინც ამ წესს არღვევდა, მას ჯარიმას უწესებდნენ ან სახელმწიფო დახმარებას ართმევდნენ.

ხალხმა ეს გადაწყვეტილება ვერ მიიღო. ბევრ ოჯახს უნდოდა მეტი შვილი, განსაკუთრებით ვაჟი, რადგან ტრადიციულად ბიჭი ითვლებოდა ოჯახის მემკვიდრედ. ამან გამოიწვია ის, რომ ზოგ ოჯახში ქალიშვილებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

გავიდა წლები და ხელისუფლებამ დაინახა, რომ ერთი ბავშვის პოლიტიკამ სხვა პრობლემებიც შექმნა მოსახლეობა დაბერდა, ახალგაზრდები ნაკლები დარჩნენ, რაც მომავალში სამუშაო ძალის ნაკლებობას გამოიწვევდა.

ამიტომ 2015 წელს ჩინეთმა შეცვალა ეს კანონი და ოჯახებს ორ, ხოლო შემდეგ სამ შვილამდე ნება დართო.

დასკვნა:

ერთი ბავშვის პოლიტიკა დაეხმარა ჩინეთს მოსახლეობის ზრდის შეჩერებაში, მაგრამ ამავე დროს გამოიწვია სოციალური და დემოგრაფიული სირთულეები, რის გამოც საბოლოოდ პოლიტიკა შეიცვალა.